ახალი გაზეთი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

2022 წელი 28 აგვისტო № 7 № 8182 ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

მაცოცხლებელ გილოცავთ!

ყოვლადმოწყალეო ღმერთმშობელო, დედოფალო ყოველთანა, განდამოიხილე ზეცით და მოხედე ნაძვილმრიგებელსა ჯერთველთანა და მაცვალერსა მანა ზედა ერსა ჩვენსა და განმფიცე იგი. დანაცვე წმიდა ეკლესია ივერიისა და ყოველნი შვილნი მისნი

დიდგორის ველზე

დიდგორის ველზე, დიდგორის ძლევამოსილი ბრძოლიდან 901-ე წელთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს დიდგორობის დღესასწაული მიულოცა.

ღონისძიებაში კასპის მუნიციპალიტეტიც მონაწილეობდა, რომელიც წარმოდგენილი იყო ქართული რეწვისა და ხელოვნების ნიმუშებით, ტრადიციული სამოსითა და ქართული სამზარეულოთი. სადღესასწაულო ღონისძიებაში მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი" მონაწილეობდა.

ღონისძიების მსვლელობის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დამსახურებული სამხედრო მოსამსახურეები "დიდგორის ჯვრის ორდენით" დააჯილდოვა.

ხსოვნა გულისა

რვა აგვისტოს კასპის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები, ომის ვეტერანებთან ერთად, ქალაქის ცენტრში მდებარე გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ. მემორიალი გვირგვინით შეამკეს და 2008 წლის ომში დაღუპული გმირები გაიხსენეს, მამა იოანემ (კალატოზიშვილი) მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მოგვიანებით სოფელ კოდისწყაროში გელა თიგიშვილის სახელობის მემორიალი და საფლავი, ხოლო სოფელ ბოჟამში მფრინავ ალბერტ ბალხამიშვილის საფლავი გვირგვინებით შეამკეს.

გმირთა გახსენება სოფელ აღაიანის გმირთა მემორიალთან დასრულდა, სადაც თანამებრძოლებთან ერთად 2008 წლის ომში დაღუპულ სოსო ბეჟუაშვილს მიაგეს პატივი.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა.

სასმელი წყლის ჭაბურღილი

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მისმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ დავით ზაქარაშვილმა, მაღალმთიან სოფელ თელადგორში, სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერეს.

მშენებელი შპს "ჰეიქთაივეი" ბურღვით სამუშაოებს აგრძელებს, პარალელურად კი სოფლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტის ღირებულება 649 999 ლარია, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სოფელი დღემდე სასმელ წყალს 6 საუბნო ონკანიდან იღებს, პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობას სასმელი წყალი ინდივიდუალურად ოჯახებში მიეწოდება.

მუნიციპალიტეტის მერია, ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას.

მოსახლეობას ვთხოვთ, წყალი ყოველთვის მიზნობრივად და რაციონალურად გამოიყენოს - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის„ ფარგლებში

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, თელიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სასირეთში შიდა საუბნო გზებზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სანიაღვრე არხი ანაკრები რ/ბეტონის კიუვეტებითა და ლითონის ცხაურებით ეწყობა, შემდეგ კი მოხდება შიდა საუბნო გზების მოხრეშვა. სამუშაოებს შპს "დემე" ახორციელებს. აღნიშნული პროექტის განხორციელების გადაწყვეტილება სოფლის მოსახლეობამ საერთო კრებაზე მიიღო.

კასპის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში: ბორტა, გამდლისწყარო, მრგვალი ჭალა და თეძმისხევი - ბავშვთა გასართობი ატრაქციონები მოეწყო.

4 სახეობის გასართობი საშუალებების შეძენა - მოწყობაზე ოთხივე სოფელში 56 895 ლარი დაიხარჯა, რომელიც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ექსი მმედი"-მ განახორციელა. 2022 წლის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში მოსახლეობამ ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობა გადაწყვიტა, რომელიც აღნიშნულ სოფლებში დღემდე არ ყოფილა.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში,

დასრულებული პროექტები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა "განახლებული რეგიონების" ფარგლებში ქალაქის ცენტრში განახლდა ხუთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საკრებულოს შენობა, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული შენობები.

სააკაძე - კოსტავას ქუჩებზე მიმდინარეობს გიორგი სააკაძის ძეგლთან და რკინიგზის გასწვრივ მდებარე სკვერების სრული რეაბილიტაცია. მიმდინარეობს მერიის და მერიის ბალანსზე მყოფი 2 შენობის, ქალაქის ცენტრში გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია.

სკვერები

ეწყობა დასასვენებელი სივრცეები, მიმდინარე წელს უკვე დასრულდა სამი დასასვენებელი სივრცის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

დასრულდა სოფელ ხოვლეში სკვერის სრული რეაბილიტაცია, სოფელ სასირეთში მოეწყო გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სკვერი, სადაც განთავსებულია მისი ბიუსტი.

ქალაქ კასპში მიკრორაიონის დასახლებაში დასასვენებელი სკვერი მოეწყო.

საბავშვო ბაღები

მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია.

დამთავრდა -

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა.

სოფელ სამთავისის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა.

კოდისწყაროს სოფელ ზემო რენეს საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა-რეაბილიტაციის სამუშაოები და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.



დასრულებული პროექტები

საბავშვო ატრაქციონები

მერიის მიზანია მეტი საბავშვო სივრცის მოწყობა, არამარტო საბავშვო ბაღებში, არამედ დასახლებულ ადგილებშიც.

ქალაქ კასპის სკოლამდელი აღზრდის ხუთივე დაწესებულებაში გასართობი ატრაქციონების მონტაჟი დასრულდა. ასევე სოფელ გამდლისწყაროსა და მრგვალი ჭალაში, სოფელ ბორტასა და სარიბარში მოეწყო გასართობი ატრაქციონები.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე შპს "ქართლის" მიერ ახალი სამშენებლო და სარემონტო მასალების მაღაზიის გახსნას დაესწრო. მაღაზია მომხმარებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს, ხელმისაწვდომ ფასებსა და საჭირო მასალების ფართო არჩევანს. შპს "ქართლის" დირექტორმა, კობა კურდღელაშვილმა განაცხადა, რომ მაღაზია უახლოეს დღეებში მაქსიმალურად დაიტვირთება, რაც მომხმარებელს ხელს შეუწყობს, ერთ სივრცეში შეიძინოს სამშენებლო და სარემონტო მასალები.

შპს "ქართლმა" მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა, ამ ეტაპზე 7 ადგილობრივი პირი დაასაქმა, შემდეგ კი მათი რიცხვის 15-მდე გაზრდას გეგმავს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში გახსნილი ყოველი ახალი ობიექტი ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც, საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე აისახება. სამშენებლო-სარემონტო მაღაზია ქალაქის შემოსასვლელში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ტექნოპარკისა და პროფესიული კოლეჯის მიმდებარედაა განთავსებული.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ... ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲗᲐᲜ

რამდენადმე მოულოდნელი იყო თემატური ლაიტმოტივი, რაც გასდევდა ამას წინათ სოფელ დოესის სამუსიკო სკოლაში მოწყობილ ღონისძიებას. მის პატარა დარბაზში, პროფილიდან გამომდინარე, მუსიკა და სიმღერა რომ იქნებოდა, გასაკვირი არაა. საერთო მოწონება უფრო იმან გამოიწვია, რომ კონცერტი მოსწავლეებმა გაუმართეს საკუთარ ... ბებიებს. ამ ერთმა კონკრეტულმა აქტივობამ დაგვანახა, რომ დოესის სამუსიკო სკოლის დირექტორს მარინა გათაშვილს ახლებური იდეები არ ელევა. მისი დამსახურება იყო ის დიდი სიხარული და სიყვარული, რაც თავიანთი შვილიშვილების საკონცერტო გამოსვლით განიცადეს. არ მოგწყინდებოდათ ცქერა და მოსმენა სკოლის საფორტეპიანო ჯგუფისა და მომღერალთა გუნდის გოგო-ბიჭების გამოსვლებისა, რომელთაც ხელდასმულობს პროფესიონალი პედაგოგი ეთერ წიწიკაშვილი. ოვაცია გამოიწვია გოგონა მელანო ჯანჯალაშვილის (პედაგოგი ლია მიქაბაძე) წკრიალა სიმღერამ.

საინტერესო და ორმხრივად დაუვიწყარ ღონისძიებას სტუმრობდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, სპეციალისტები: ვალიდა უზნაძე და გულო სოსანაშვილი.

იზაბელა კობიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲪᲣᲪᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲫᲚᲘᲠᲘ ᲪᲮᲝᲚᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲛᲑᲐᲙᲣᲠ-ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ
(1852 Წ. 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ — 1941 Წ. 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ)

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი იმ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ცნობილნი რომ არ არიან; არადა, "დამლევ მეცხრამეტე საუკუნეში არავინ არ იყო მაგაზე აღზრდილი, მშვენიერი და დიდი საქმიანი ადამიანი". — ეს სიტყვები მარიამის შესახებ მის თანამედროვეს ელისაბედ ერისთავს (1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ელიზბარ ერისთავის ასული) ეკუთვნის.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი "დიდი საქმიანი ადამიანი" რომ ყოფილა, ამის შესახებ ის მდიდარი საარქივო მასალა მოგვითხრობს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ლიტერატურის მუზეუმში რომაა დაცული; გარდა დოკუმენტებისა, არანაკლებ საინტერესოა ნათესავების, მეგობრების, ნაცნობების აზრი. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ აწ გარდაცვლილი ქალბატონი ბაბო დადიანი, რომელმაც ჩემს შეკითხვაზე, როგორ გაიხსენებდით მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს — მეთქი, მიპასუხა: "დიდი მარიამის შესახებ, აბა, მე რა უნდა გითხრა". "დიდი მარიამი" — ორი სიტყვით "გამაცნო" მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ქალბატონმა ბაბო დადიანმა.

სამეფო კარის ბაგრატიონების პირდაპირი შთამომავალი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ლამისყანის ციხესასახლის ბოლო მეპატრონე გახლდათ; 36 წლის წინ ორბელიანების შესახებ მასალების შეგროვება დავიწყეთ; მაშინ სოფელში ბევრი ხანდაზმული რესპოდენტი გვყავდა (ახლა ისინი ზეციური საქართველოს მკვიდრნი არიან); "ის ცხონებული ორბელიანები სოფლის ბატონები კი არა, პატრონები იყვნენო", — გვპასუხობდნენ და ჩამოთვლიდნენ: "აი, ტოღანაურის წყაროს წყალი რომა გვაქვს, მათი გამოყვანილია, შკოლაც მაგათ დააარსეს, ფოშტაცა. სოფელში დუქანიც კი გვქონდა, ახალგორელი ვაჭრები ვეღარ გვატყუებდნენ..." (ისტორიული მეხსიერების შენახვა მუზეუმის ვალია).

ახლა კი საარქივო დოკუმენტაციის მიხედვით:

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი დაიბადა ქ. თბილისში 1852 წ. 11 ივლისს. იგი ასული გახლდათ თეკლა ბატონიშვილის უმცროსი ვაჟის ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანისა. მარიამის დედა, ეკატერინე ვასილის ასული ილინსკაია, დედით ქართველი იყო. ვასილ ილინსკს, სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის უფროსს, ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი მარიამ ელიოზიშვილი.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა მაღალი არისტოკრატიული წრის შესაფერი აღზრდა-განათლება ოჯახშივე მიიღო. იგი იზრდებოდა იმ გარემოში, სადაც მისი ბებოს თეკლა ბატონიშვილის ტრადიცია სუფევდა — მაღალი პატრიოტიზმი და ადამიანის მიერ თავისი სამშობლოსა და ხალხის წინაშე მოვალეობის შეგნება; ყველა მისიანი საქართველოს შავბედს დასტიროდა. მეტად კი მისი უფროსი ბიძა ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი, საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, "მამების" თაობის იდეური ხელმძღვანელი, რომელიც მარადჟამს სამშობლოს გათავისუფლებას ნატრობდა.

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და გუვერნიორთაგან მომზადებული მარიამი დაეუფლა რუსულ, ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ ენებს. 16 წლისამ მიიღო თბილისის ქალთა კურსების სიმწიფის ატესტატი.

1872 წელს მარიამი ცოლად გაჰყვა ლამისყანელ მემამულეს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს. ჯვრისწერის დღეებში მარიამს დედამთილმა ნინო ერისთავმა ატენის მამული აჩუქა, სადაც ედგათ კლდეში ნაკვეთი სახლი, რომლის არქიტექტორიც თავის დროზე ყოფილა თორნიკე ერისთავი, მამა ნინო ერისთავისა (დღეს იმ სახლში მონაზვნები ცხოვრობენ; დედაოებმა სულიერების კერად აქციეს ლამისყანელი ერისთავ-ორბელიანების ყოფილი სასახლე).

რძალ-დედამთილს შორის თბილი დამოკიდებულება დამყარდა. ერთად ცხოვრების თხუთმეტი წლის მანძილზე მათ შორის უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. "უძვირფასესო შვილო" — ასეთია დედამთილის მიმართვა მარიამისადმი პირად მიმოწერაში.

ჯამბაკურ-ორბელიანები ზამთარს თბილისში ატარებდნენ, ზაფხულობით კი ლამისყანაში ცხოვრობდნენ. აქ მათ მდიდარი ოჯახი ჰქონდათ; ახლად გადაკეთებული მშვენივრად მოწყობილი ბინა, მდიდარი ბიბლიოთეკა, ბეკერის როიალი, ორსართულიანი თავლა საჯდომი და ეტლების ცხენებით, წისქვილი თავისი პერსონალით.

მალე მარიამმა სოფლის ბავშვებისათვის მოაწყო დაწყებითი სკოლა; მასწავლებელი თავადვე იყო. სოფელში ციება ყოფილა გავრცელებული. მდინარე ქსნიდან გამოყვანილი წყალი სასმელად უვარგისი იყო. ორბელიანებმა ლამისყანაში მოიწვიეს ინჟინერი ზ. ქურდიანი და საკუთარი ხარჯით ტოღანაურის წყაროდან წყალი გამოიყვანეს.

1877 წლის შობის დღეს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა სოფლის ბავშვებს საშობაო ნაძვის ხე დაუდგა. მანამდე ლამისყანელ ბავშვებს არ ენახათ მორთული ნაძვი.

როგორც ცნობილია, 1879 წელს დაარსდა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი საზოგადოების ნამდვილი დამფუძნებელი წევრი იყო. ამავე წელს ამ საზოგადოებამ თბილისში გახსნა ქართული სათავადაზნაურო სკოლა. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აირჩიეს სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრად. ამ კომიტეტის მასალებიდან ჩანს, რომ წევრები და თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ, რაც მარიამს არ შეხებია. ის ერთადერთი ქალი იყო კომიტეტში; 35 წელი ემსახურა სკოლას, მის დახურვამდე, 1917 წლამდე. თვით ამ სკოლის, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის გეგმა მან ჩამოიტანა შვეიციიდან 1897 წელს. "ალბომი სკოლების შენობებისა და პლანებისა" მარიამმა მიუტანა ნ. ცხვედაძეს.

1880 წელს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აირჩიეს სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტში. ამ სასწავლებლის დირექტორი იყო ცნობილი მუსიკოს-ეთნოგრაფი, კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი. აი, რას წერს იგი თავის "მოგონებებში": "სუიტა "ივერია" მე მივუძღვენი ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარეს, კნეინა მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანს, რომელმაც უდიდესი დახმარება გამიწია მუსიკალურ სასწავლებელში კლასების გადაკეთების საქმეში. კავკასიაში მუსიკის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მოღვაწის გაწეული მუშაობა".

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი არაფერს თაკილობდა, თუკი ეს ეროვნულ საქმეს წაადგებოდა. მუსიკალურ სასწავლებელს თავისი ხარჯით ინახავდა "მასწავლებელ ქალთა საზოგადოება". ხშირად უჩიოდნენ უსახსრობას; ფულის მოსაძიებლად მართავდნენ კონცერტებს, სალიტერატურო საღამოებს. მთავრობა ყველგან და ყველაფერში ერეოდა, საზოგადოებას უქმნიდა პრობლემებს. უხდებოდათ ბევრი უსიამოვნების ატანა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში.)

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ
თეატრალიზებული „ნიღაბი„

“კასპის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფი გიწვევთ თეატრალიზებულ წარმოდგენაზე “ნიღაბი” - ეწერა მოსაწვევში.

ნიღაბი – ერთ-ერთი უძველესი, განუშორებელი და დამხმარე ატრიბუტი ადამიანის ყოველდღიურობისა, საკულტო და საარსებო ყოფისა, ძველდროების ბალ-მასკარადებისა და თანამედროვე საკონცერტო-სატელევიზიო გასართობი შოუებისა და წარმოდგენებისა...

ნიღბების ნაირსახეობანი და მათი დასამზადებელი მასალები ვრცელი და ამოუწურავი თემაა, ამჯერად თეატრალურს ვგულისხმობთ მარტოოდენ, ანუ გასართობ-საჩვენებელი სივრცისას, სასცენო ფართზე მსახიობ-შემსრულებელთა პროფესიულ გარდასახვას რომ ემსახურება.

ვის-ვის და სხვა პროფესიულ შემოქმედებით გაერთიანებათაგან განსხვავებით სწორედ ჩვენი დარგის წარმომადგენლებს უკეთ მოეხსენებათ ნიღბის არსი და მნიშვნელობა თეატრალიზებული სასცენო ნაწარმოებების გაცოცხლებისას... ასეა თუ ისე, თანამედროვე “ცოცხალი თეატრი” თითქოს ნაკლებადაა დამოკიდებული მსახიობთა ჩაცმა-აღკაზმულობაზე, მაგრამ უმისობა მაინც არ ეგების, დიდი და ცნობილი თეატრების აფიშების გაფორმების ღირებულ კომპონენტად აუცილებლად რჩება ნიღბის გამოსახულება ...

***

წარმოგიდგენთ კასპური თეატრალიზებული “ნიღბის” სასცენარო პროგრამით გათვალისწინებული ნაირგვარი ნომრების ავტორებსა და შემსრულებლებს, თვით წამყვანის ჩათვლით, რომელთა ნაწილი სცენაზე სწორედაც რომ საგანგებოდ შერჩეული და მორგებული ნიღბით მოქმედებდა, მეტყველებდა, თამაშობდა ...

წამყვანი – სალომე მუხიგულაშვილი – ღონისძიების ორგანიზებაში ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი.

მონაწილეები და შემსრულებლები:

გიორგი კვერცხიშვილი და ნათია ნუგზარიშვილი – ორი ნიღბოსნის როლში, მთვარეული ღამის შუქზე, რომლებიც მაყურებელს პროლოგის სახით შეახსენებდნენ, რომ თვითონ ცხოვრებაა ერთიანი თეატრი და ადამიანებს, როცა ისინი აქტიური სტატისტის როლებს თამაშობენ, ხშირად სჩვევიათ ნიღბების მოხმარება;

დიმიტრი მაღლაკელიძემ – ახალგაზრდა შემოქმედმა, წაიკითხა საკუთარი ლექსი “მთვარის ქორწილი” და ჩანახატი “მოხუცი”;

გიორგი ხასიშვილმა – კასპის სამუსიკო და სოფელ იგოეთის საჯარო სკოლების პედაგოგი, სოფელ ქვემო ჭალის კულტურის სახლის ლოტბარი – ინდივიდუალური შემსრულებლის როლში შეასრულა კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის სიმღერა “მუხამბაზი”, ასევე, “მოვა მაისი”.

... ცხოვრება, როგორც რეალობა, ძვირფასო მაყურებელო (მკითხველო!), არასოდეს მიგიმსგავსებიათ ქარისათვის? – რომელიც მთათა კალთებზე ნავარდობს და თავისი ბუნებით ჩამოგავს დაუდგომელ მსვლელობას ბოშათა ენერგიით აღსავსე ქარავანს, სადაც ყველა ერთ ჯაჭვშია ჩართული... განა ცხოვრება ბოშათა ბანაკივით არ მიიჩქარის და გზაზე არ ტოვებს სიმღერისა და პოეზიის ყვავილებს!

ლუიზა ტატიაშვილმა – თეატრალიზებული წარმოდგენის ორგანიზატორმა, რეჟისურის, დეკორაციებისა და სცენარის ავტორმა – მხატვრულად წაიკითხა საკუთარი ლექსი “მიდის ბოშათა ბანაკი...”

სცენაზე გამოვიდნენ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჯგუფის წევრები, “მზის სხივის” ფერადოვანი კაბებით გოგონები, რომლებიც ცეკვავენ “ვალსსა” და “ჩაჩაჩას” (ხელმძღვანელი – გიორგი მჭედლიშვილი);

ლაშა თაბუაშვილმა – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა შეასრულა კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სიმღერა “ვარდები არ არიან”.

წამყვანმა სალომე მუხიგულაშვილმა და კასპის №4 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლიზი ხუციშვილმა წარმოადგინეს ნაწყვეტი სპექტაკლიდან “გაწეწილი სიბნელე” (ავტორი – ლუიზა ტატიაშვილი).

კასპის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი), რომელმაც 2020-21 წლებში გაიმარჯვა ბორჯომის საერთაშორისო და “მომავლის ვარსკვლავების” კონკურსებში, ისრაელის საერთაშორისო მუსიკალურ ონლაინფესტივალში, ხალხური სიმღერებით “ჰარულალო” და “არაგვისპირული” ამჯერად კასპური წარმოდგენის მაყურებელი მოხიბლა;

სცენარის თანაავტორებმა ლუიზა ტატიაშვილმა და დიმიტრი მაღლაკელიძემ წარმოადგინეს – სალექსო დუეტი “ცოდვით აივსო ადამის სული”.

სიურპრიზი იყო ამერიკაში მცხოვრები ჩვენებური მომღერლის თათა ხორგუაშვილის გამოსვლა. იგი ახალი მუსიკალური პროექტის განსახორციელებლადაა ჩამოსული საქართველოში.

აი, ისინიც, ვინც უზრუნველყვეს თეატრალიზებული “ნიღბის” გასცენიურება: კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნათია ნუგზარიშვილი და მაიკო თაბუაშვილი, ტექნიკური მხარე – დავით ალექსიძე, მუსიკალური მონტაჟი – ილია ნონიაშვილი, გრიმი – ეთერ მაისურაძე, საერთო მხარდაჭერა – განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექცია (ლალი ჯანჯალაშვილი, ნელი ონეზაშვილი).

კამერული კონცერტი სოფელ ზემო ხანდაკში

ქართული სოფლის საკლუბო სცენაზე განხორციელებული ნებისმიერი სახელოვნებო ქმედება (სიმღერისა და ცეკვის შესრულება, კინოფილმის ჩვენება, დეკლამირება...) დიდი კულტურის მცირე ნაპერწკალია და მოგვაგონებს მთის წიაღში ნაშობ პატარა ნაკადულს, მერე და მერე რომ მძლავრობს ვრცელ სამდინარო სივრცეში.

რამდენ დიდ ხელოვანსა და მსახიობს აუდგამს ფეხი სწორედაც სასოფლო კლუბის სცენაზე, ვიდრე კულტურული გრძელი გზის “მგზავრი” გახდებოდა, ვინ მოთვლის!..

ქართულ სინამდვილეში უფრო გასული საუკუნის მიწურულის ათწლეულებში საჩვენოში რომელიც გინდა სოფლის კლუბის სცენაზე ნამდვილად დუღდა კულტურული ცხოვრება, სადღეისოდ მონატრების საბურველში რომ ჩარჩენილა და, როგორც ბავშვებისა თუ უფროსებისათვის ანდამატურად მიმზიდველი სანახაობა, გარდასული დროჟამიერის ტკბილად გასახსენებელ და განსაცდელ ნოსტალგიაში გადაგვიშვებს ხოლმე სადღეისოდაც, აგერ, ოცდამეერთე საუკუნის მეორე ოცწლეულში... ჰო, მეოცის 70-80-იან წლებში აგებული საკლუბო დარბაზები, ტიპიურ შენობებში რომ იყო მოთავსებული საპროექტო გათვლებით, ანდა, სულაც ცალკე შენობა-სასახლეებში, გვინდა თუ არა, ბევრ სოფელში ვეღარ აღვინებს კულტურის მაჭარს, უქმობს, დაბოქლომებულია, მაყურებელი აღარ დადის ადგილობრივ კლუბში...

გვსურს, დღეს წარმოგიდგინოთ ერთი ჩვენებური სოფლის საკლუბო ნონსენსი, რომლის პატარა სცენაზე აგერ, წლევანდელი ბოლო სამთვიან პერიოდში, გაიმართა საკონცერტო წარმოდგენები და მათი პროგრამული რეპერტუარი მოიცავდა სასიმღერო-მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს, თვით საესტრადო და კლასიკური მუსიკის ნომრების ჩათვლით.

მაშ, ასე: სოფელი ზემო ხანდაკი – კლუბის გამგე ნანა ბზიშვილი, 2020 წლიდან (ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში, რაც სოფელში საკლუბო დაწესებულება არსებობს, მისი წინამორბედები იყვნენ: იზოლდა გორგაძე-ამირეზაშვილი, ლიანა ქამხაძე, ელიზა გორგაძე, თამარ ბოლოთაშვილი და ვასილ კელაპტრიშვილი).

– 2022 წლის 8 მაისი – ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების კონცერტი (ორგანიზატორი გიორგი ცაბოლაშვილი).

მონაწილეობდნენ ქ. გორისა და ქ. თბილისის ანსამბლები: “რიხი” (ხელმძღვანელი ზურაბ წკრიალაშვილი), “მარგალიტი” (ნათია ბედენაშვილი) და “ალილუი” (დემეტრე ქირია).

– 2022 წლის 5 ივლისი – წლის შემაჯამებელი კონცერტი. მონაწილეობდნენ სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები: “ტაშარი” (ქორეოგრაფები შორენა ამირეზაშვილი და მედეა მწითურიძე) და ომარ მხეიძის სახელობის “იმედი” (ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი); ასევე, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი (ხელმძღვანელი ზურაბ წკრიალაშვილი) და მხატვრული კითხვის წრის წევრი თიკო ამირეზაშვილი.

საკონცერტო პროგრამა გაამრავალფეროვნეს, ასევე, მოწვეულმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა: სოფელ კავთისხევიდან – ხალხურ საკრავთა ანსამბლმა “კავთურამ” (ხელმძღვანელი ნანა შალიტაური), სოფელ ახალქალაქიდან – ახალგაზრდა მომღერლებმა ვაჟა მალაციძემ და ნინი დავითაშვილმა; მოსწავლე-დეკლამატორებმა ზურაბ ზალინაშვილმა და ნიკოლოზ ედიშერაშვილმა.

კონცერტს ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და სხვები.

– 2022 წლის 7 აგვისტო – კლასიკური მუსიკის კონცერტი (ორგანიზატორი გიორგი ცაბოლაშვილი).

ეროვნული ფილარმონიის კამერულმა ორკესტრმა (დირიჟორი სოსო ჯუღაშვილი) შეასრულა ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები.

ორკესტრის შემადგენლობა: ვიოლინო – სესილი სანებლიძე, ინა თევდორაძე, მარიამ ჩოხელი, მაია გოგავა, მაკა ნაცვლიშვილი და ინგა ტემოფეევა, ალტი – მარიამ ჩიკვაიძე, გიორგი ხატალიოვი და გიორგი მაღრაძე, ჩელო – კახაბერ მეტრეველი და სოფიო შარაშენიძე, კონტრაბასი – ჯანო დემეტრაშვილი.

... უთუოდ, საინტერესოა, თუ ვინ არის გიორგი ცაბოლაშვილი, ვინც ორგანიზებდა სამიდან ორ კონცერტს, ანუ, ერთი პატარა სოფლის ძველებურ-განახლებული კლუბის პატარა სცენაზე უზრუნველყო დედაქალაქიდან მუსიკალური ჯგუფების სტუმრობა და გამოსვლა? – გიორგი ცაბოლაშვილი პროფესიონალი მუსიკოსი გახლავთ. კონსერვატორიის კურსდამთავრებულია.. პირადულ მუსიკალურ კარიერას არ შესდგომია, ამ კუთხით უფრო მენეჯერულ-საორგანიზაციო საკითხებით არის დაინტერესებული და დასაქმებული.

და, მაინც, თბილისელი ახალგაზრდა კაცის არჩევანი ზემო ხანდაკზე რატომ შეჩერდა? – ეს სოფელი გიორგის დედულეთია. მას მშობლიურ კუთხეში კულტურული საქმიანობის გამოცოცხლების კეთილშობილურ ჩანაფიქრში თანამოაზრეც ჰყავს – პროფესიით მეღვინე უმცროსი ძმა, ალექსანდრე, სამარკო ქართული ღვინო “ცაბოს” მწარმოებელი.

ძმები ცაბოლაშვილების ჩანაფიქრი პერსპექტივაზე გათვლილი სურვილია და ამბიციურობიდან შორსაა: მშობლიური სოფლის კლუბის გადაქცევა ნამდვილ საკონცერტო დარბაზად!

ხვალემ იცოდეს ხვალისა!

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის პრიზიორი

17 წლის ძიუდოისტი სანდრო ახლოურის შესახებ ივნისის სასპორტო გვერდში ვწერდით (“მოდის ახალი ტალღა”).

წლევანდელ ზაფხულში მან წარმატებით იჭიდავა ევროპული დონის ორ შეჯიბრებაში: პოლონეთში ახალგაზრდული თასის გათამაშებაში და ჩეხეთში კადეტთა პირველობაზე ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა (პირად ჩათვლაში).

ივლისის ბოლოს იგი კონტინენტურ კიდევ ერთ ასპარეზობაში გავიდა ტატამზე, ამჯერად ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე, რომელიც დიდი ოლიმპიადების მინიასლია და ასეთ დონეზე წარმოჩენა უკვე ბევრის მეტყველია.

მართალია, სანდრომ პირად ჩათვლაში კვარცხლბეკამდე მისვლა ვერ მოახერხა (პირველ მეტოქესთან გაიმარჯვა, მეორე ორთაბრძოლაში დამარცხდა), მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი წვლილი შეიტანა გუნდური შეჯიბრების მსვლელობისას.

როცა საქართველოს ნაკრების წევრებმა (სამი ვაჟი, სამი გოგონა) თანმიმდევრობით დაამარცხეს მოლდავეთისა და იტალიის გუნდები (4:3 და 4:0). შემდგომ ეტაპზე ხელი მოეცარათ უკრაინის ნაკრებთან (2:4), რის გამოც მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში გერმანელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ.

ჩვენებურებმა აქაც იყოჩაღეს და პრიზიორობის შანსი გამოიყენეს (4:3).

აღსანიშნავია, რომ სანდრომ გუნდური ოთხი ორთაბრძოლიდან სამში გაიმარჯვა (ერთხელ სულაც მისი ქულა აღმოჩნდა გუნდისთვის გადამწყვეტი), ხოლო პირადულსაც თუ მივუთვლით, 6-დან – 4-ში!

კასპელ ჭაბუკს, კასპის მე-3 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეს, ნამდვილად სასპორტო ზაფხული უდგას.

ის კასპელი მესამე ძიუდოისტია, ვისაც კი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადებზე უჭიდავია: გიორგი კაციაშვილმა 2012 წელს გაიმარჯვა უტრეხტის (ნიდერლანდები), ხოლო რობინზონ ბეგლარაშვილმა 2015 წელს ქ. თბილისის ოლიმპიადა მოიგო.

ვინ იქნება შემდეგი?

ბაკურიანის საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი შეკრება

სამთო კურორტი ბაკურიანი ზამთრის სეზონზე განსაკუთრებულად პოპულარული და მიმზიდველია არა მარტო სათხილამურო სპორტის წარმომადგენლებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო ფენებისთვისაც.

ბაკურიანი ნამდვილი სახალხო კურორტია. მიმსვლელი და დამსვენებლები სხვა სეზონებზეც არ აკლია. ეს უფრო ზაფხულის თვეებზე ითქმის. იქაური კლიმატი, ტურისტული პოტენციალი, საერთო გარემო ქმნის ადამიანთა უებრო გამაჯანსაღებელ და შინაგანი ძალების აღმდგენ პირობებს, ყველასათვის, მაგრამ განსაკუთრებით სპორტსმენებისათვის.

რეალობა: 2022 წლის ზაფხულში ბაკურიანში საწვრთნელ-გამაჯანსაღებელ შეკრებებზე იმყოფებიან არაერთი სასპორტო სახეობისა და გუნდების წარმომადგენლები, საქართველოს ნაკრებების წევრთა ჩათვლით.

კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შოთა გოგიაშვილი) ახალგაზრდა და ჭაბუკ მოჭიდავეთა წარმომადგენლობითმა ჯგუფმა აგვისტოს პირველ ნახევარში საწვრთნელ-სავარჯიშო და გამაჯანსაღებელი შეკრება გაიარა ბაკურიანში. ნამდვილად საჭირო და სასარგებლო სპორტფაქტი განხორციელდა მუნიციპალური ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და სასპორტო სამსახურის უფროსობის ინიციატივით.

ბაკურიანული დღეები ნამდვილად მისწრება და სასაჩუქრე სტიმულია წარმატებული და პერსპექტიული მოჭიდავეებისათვის, ვინც ახლა თავისუფალია საშეჯიბრო ციკლიდან, ანდა სასწავლო არდადეგები უდგას.

მათთან მყოფი ოთხი მწვრთნელი უზრუნველყოფდა ყოველდღიურ ინტენსიურ ვარჯიშებს ჰაერზე, ბუნების წიაღში, თუ დარბაზებში, ტრენაჟორებთან, ანდა, გასვლით საექსკურსიო მარშრუტებს.

“ბაკურიანული შეკრება – 22”-ის მონაწილეები მადლიერებას გამოხატავენ მისი ორგანიზატორების მიმართ და, თავიანთი მხრივ, მზად არიან კარსმომდგარი საშემოდგომო სასპორტო ასპარეზობებისათვის.

მემორიალური საჭადრაკო ტურნირი

კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექცია (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე) რამდენიმე წელია, რაც ატარებს კალენდარული გეგმით დადგენილ საჭადრაკო ტურნირს, რომელიც ეძღვნება კასპელი კოლორიტული ფიგურის, მოყვარული მოჭადრაკის, შოთა ჯაბაურის (1937 – 2007) ხსოვნას.

აღნიშნული საჯადრაკო ტურნირი ჯერ ადგილობრივი მასშტაბისა იყო, მერე სამხარეო გახდა, ახლახან, ივნისის ბოლოს ჩატარებული კი რესპუბლიკური, ღია და პირადგუნდურ ხასიათს ატარებდა.

ეს ტურნირი მიეძღვნა შოთა ჯაბაურის დაბადებიდან 85-წლისთავს.

ტურნირის მთავარი მსაჯის მოვალეობანი განახორციელა ცნობილმა ქართველმა მოჭადრაკე ქალბატონმა, ამჯერად შიდა ქართლის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ციალა ქასოშვილმა (ქ. გორი).

გაგაცნობთ მის ჩემპიონ-პრიზიორებს:

პირადი პირველობა: 1. – თამაზ გუგულაშვილი (მეტეხი, კასპი) – 7 ქულა 7-დან!

2. – მამუკა ზაქარაშვილი (კასპი) – 6 ქულა,

3. – ალექსანდრე ხახუტაშვილი (გორი) – 4,5 ქულა.

გუნდური პირველობა: ჩემპიონობა მოიპოვა კასპის პირველმა გუნდმა, რომელმაც 16,5 ქულა დააგროვა. მის შემადგენლობაში იყვნენ: თამაზ გუგულაშვილი, მაკა ზაქარაშვილი და მიხეილ მაკეივიჩი.

მეორე ადგილზე ქ. ბორჯომის გუნდი გავიდა 10,5 ქულით (უშანგი ჯანგირაშვილი, ლევან ზედელაშვილი და ზაზა ბექაური).

მესამე ადგილიც მასპინძლებს დარჩათ, მათი მეორე გუნდის წევრებმა (ლევან ქვრივიშვილმა, ვალერი უზნაძემ და გელა ქარუმიძემ) 10,5 ქულის მოგროვება მოახერხეს...

შემდეგი ადგილები გაინაწილეს გორის და ხაშურის (ორივე 9,5 ქულით), ასევე, დუშეთის გუნდებმა (7,5).

გვხვდით ჩვენი მკითხველი!

ხიბლი და განშლა ქართული ჭიდაობისა

ქართველებს ჭიდაობაც სისხლხორცეული და უძველესი გაგვაჩნია. რით გვხიბლავს, დასტურ, ეროვნული და სახალხო სახეობა? – თავისი შიგთავსის კლასიკური, რაინდული, რაფინირებული ბუნებითა და ძლიერი, საუკუნეებგამოტარებული სისტემით! მას საქართველოს ყველა კუთხეში, მთასა და ბარში, დიდ-პატარა სოფელში ფეხი იმედიანად გაუდგამს.

ქართული ჭიდაობის განფენილობისა და განშლის სივრცისა და ფართის ჩვენებური მასშტაბები თვალსაჩინოა. იკვეთება მზაობა და ნიადაგი მისი საერთაშორისო დონეზე გასვლისა, მსოფლიო ბრენდად გადაქცევისა, ვითარცა ძიუდოსი, სამბოსი, ბერძნულ-რომაულისა... აღმოსავლური ჩვენებური ნიში მაინც სულ სხვა იქნება!

2022 წლის ზაფხულში ქართული ჭიდაობის ძველებური ეშხის ტალღები გადასდიოდა საჭიდაო გადახურულ თუ ღია არენებსა და წრეებს საქართველოს მხარეებში: ქარელის სოფლებში ძლევიჯვარსა და ფცაში, გურჯაანის ძირკოკში, გორის შინდისში, ქორდაში, თეთრიწყაროს დიდგორის ველზე, ბორჯომში, დაბა წყნეთსა და მარტყოფში...

ყველგან ფალავანდობდნენ ნაცადი ფალავნები და ტალიკტალიკნი, საწყის მეტოქეობაში ინათლებოდნენ ახალბედები და ახალუხალნი!

საკასპელოს მისახედ-მოსახედში თუ გადმოგორდა და მოგვწვდა ქართული ჭიდაობის ატალღების ძველებური ხიბლი და ეშხი? – აუცილებლად! კი! დიახ!

სოფლებიდან პიონერობა ქვემოგომელებმა ირგუნეს. იქაურებმა თავიანთ პატარა საჭიდაოს შეავლეს ხელი და კარგი ჭიდაობა გააწყეს. ფალავანი კაციაშვილის სოფელს ეს აქამდეც უნდა მოემოქმედა. მერმისს უკეთესად გამოუვა.

მერე მეტეხელებმა იყოჩაღეს. მათებური საჭიდაო სკოლა ყველაზე არტერიული კერაა, საიმედო შევსების აკვანია. მსოფლიო ჩემპიონი მაღალაშვილის სოფელი, ალბათ, სექტემბერში შემოგვთავაზებს უფრო ფართო გაქანების ასპარეზობას და სანახერხოზე იწვევს საქართველოს თავმომწონე ჩოხოსნებსა და ულვაშ-წვეროსნებს.

ივლისის ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ლამისყანელებმა გადაავადეს ტრადიციული ტურნირი, რითაც გაამშვენიერებენ ხოლმე საეკლესიო-სახალხო დღეობადღეს “ივლიტობა”. სხვა სოფლებში ჯერ ვერ მოვლენ აქაურების ერთიანობასთან, ათობით ემიგრანტი-ლამისყანელია ხელშემწყობი და სულშემბერავი ქართული ჭიდაობის სულიერების ღველფისა.

ოჰოჰო, გაშუალებულ აგვისტოში სიურპრიზი შემოგვთავაზეს ახალციხელებმაც. სად, სად და მათთან ხომ ზედვეა ნოსტეც, სადაც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულამდე სულაც სააკაძის სახელობაზე ჭიდ(ილ)აობდნენ თასებისა და პრიზებისათვის.

ივლისშივე ერთი ლამაზი მემორიალური ტურნირი ქალაქის წილადაც მოდის ხოლმე. 25-ში ამჯერადაც ახმაურდა “გორკას არენა” კასპის ძველდასახლებულ უბანში, კვირაცხოვლის ეკლესიასთან.

... ასეა, ორწლიანი კოვიდაუტის უქმობის შემდეგ ქართულ ჭიდაობას ჩვენშიც ახალი სუნთქვა გაეხსნა.

სხვები? სხვაგან?

იმედია, ენთუზიასტები და ორგანიზატორები გამოჩნდებიან კავთისხევშიც, სასირეთშიც, თელიანშიც, დოესშიც, ახალქალაქშიც, იგოეთშიც, თეზშიც...

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება „ოკამი„

წარმოების სპეციფიკაცია

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი "საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს შპს ეთნო ოკამის მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

განაცხადის №3515/6

განაცხადის შეტანის თარიღი: 2022 04 13

ადგილწარმოშობის დასახელება: ოკამი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია - ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: შპს ეთნო ოკამი; კანდელაკის ქ. 8ბ. ბინა 39, თბილისი, საქართველო

1. დასახელება: ოკამი

2. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები:

"ოკამი" მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს თეთრი ან წითელი.

"ოკამი" თეთრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი ღია ჩალისფრიდან ჩალისფრამდე;
- არომატი და გემო - გემოზე ჰარმონიული, სასიამოვნო და ხალისიანი,ზომიერი მჟავიანობით, დახვეწილი და დაბალანსებული გემოთი, ახალგაზრდა ღვინისათვის დამახასიათებელი მსუბუქი ციტრუსოვანი და ყვითელი ხილის არომატით, მინდვრის ყვავილების ტონებით, დავარგებისას ღვინოს უვითარდება გამოხატული ბუკეტი ტკბილი სანელებლების და მწიფე ხილის ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არაუმეტეს 4 გ/ლ;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით არანაკლებ 5 გ/ლ;
- აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გ/ლ-ს;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 200 მგ/ლ-ს.

"ოკამი" წითელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი - ლალისფერი;
- არომატი და გემო - გემოზე სავსე, სასიამოვნო და ხალისიანი მჟავიანობით, ექსტრაქტული, წითელი კენკრის ნაზი არომატით, დავარგებისას უვითარდება სანელებლების არომატი;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 12%-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით, არანაკლებ 5 გ/ლ;
- აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1,2 გ/ლ-ს;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდააღემატებოდეს 150მგ/ლ-ს.

3. წარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები

ოკამის მიკროზონა მდებარეობს შიდა ქართლის მევენახეობის ზონის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს და მოიცავს კასპის მუნიციპალიტეტის მევენახეობისათვის ხელსაყრელ ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების არეალს.

ოკამის მიკროზონაში შედის სოფლები: კოდისწყარო, ქვემო ჭალა, ლამისყანა, სამთავისი, ოკამი, აღაიანი, ახალქალაქი, თელიანი, ქვემო გომი, მეტეხი, ხოვლე, ზემო ხანდაკი, ახალციხე, დოესი, კასპი, წინარეხი და კავთისხევი.

4. ვაზის ჯიშები

ღვინო "ოკამი" თეთრი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ოკამის მიკროზონაში მოწეული ჩინურის და/ან გორული მწვანეს ჯიშის ყურძნიდან დადაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება. ღვინო "ოკამი" წითელი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ოკამის მიკროზონაში მოწეული შავკაპიტოს ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

5. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

- ოკამის მიკროზონაში ღვინო "ოკამისთვის" განკუთვნილი სამრეწველო ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 500-დან 800 მეტრამდე;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,5 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში 0,8-1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე 60-90 სმ:
- სხვლის ფორმა ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი;
- ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

6. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

- ღვინო "ოკამი" თეთრისთვის განკუთვნილი ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 19%-ზე ნაკლები;
- ღვინო "ოკამი" წითლისათვის განკუთვნილი ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, ან ტარპებით, რომელთა ტევადობა არ აღემატება 80კგ-ს;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

7. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 8 ტონას;

ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 650 ლიტრს ერთი ტონა ყურძნიდან;
- 5200 ლიტრს ერთი ჰა ვენახიდან.

8. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

ღვინო "ოკამის" წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ოკამის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ შიდა ქართლის ქვეზონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა შიდა ქართლის ქვეზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ღვინო "ოკამი" თეთრი მზადდება თვითნადენი ყურძნის ტკბილის სრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

ღვინო "ოკამი" წითელი მზადდება დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით; ღვინო "ოკამის" სამომხმარებლო ბაზარზე გატანა სარეალიზაციოდ ნებადართულია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

9. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის.

კლიმატი - ოკამის მიკროზონაში მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, ზომიერად ცივი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2250-2400 საათია, სავეგეტაციო პერიოდში კი 1600-1800 საათს აჭარბებს. საშუალო წლიური ტემპერატურაა 11,4^{0}C, იანვარში 0,5^{0}C, აგვისტოში კი 23^{0}C. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაბატონებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარები. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3450-3600^{0}C-ს შეადგენს.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 500 მმ-ს. მიკროზონაში ნალექების საკმაოდ დიდი წილი მოდის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში, ე.ი. მცენარის ზრდისა და ყვავილობის პერიოდში, ხოლო მცირე რაოდენობით ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისში, ე.ი. ყურძნის მომწიფების დროს, რაც უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნაყოფის ნორმალური და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებისთვის.

გარდა ამისა, მიკროზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (3450-4700^{0}C), თბილი დღეები და გრილი ღამეები ყურძნის მომწიფების პერიოდში, უზრუნველყოფს ნაყოფში შაქრის კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას.

ნიადაგი - ოკამის მიკროზონაში, ძირითადად, წარმოდგენილია მდელოს ყავისფერი, კარბონატული და ალუვიური ნიადაგები. ნიადაგების უმეტესობა კაკლოვან-მარცვლოვანი სტრუქტურისაა, რომელთა მექანიკური შედგენილობა, ძირითადად, მძიმე და საშუალო თიხნარებსა და მსუბუქ თიხებს მიეკუთვნება და ფიზიკური თიხის შემცველობა 45-85%-ის ფარგლებშია. კარბონატებს, მეტწილად, მცირე რაოდენობით შეიცავს და პროფილში 2,8-6,6%-ის ფარგლებში მერყეობს. ნიადაგები ძირითადად ტუტე რეაქციისაა pH-ის მაჩვენებელი 8,2-8,7 შეადგენს. ნიადაგების პროფილის სისქე 0,8-1,3 მეტრის ფარგლებშია, ხოლო აქტიური ჰუმუსიანი ფენა 50-60 სმ-ის ფარგლებში მერყეობს.

ორგანული ნივთიერებების შემცველობა საშუალო და დაბალია და 2,42-5,85 %-ის ფარგლებში მერყეობს.

ნიადაგი საშუალო და მცირე რაოდენობით შეიცავს ხსნად (შესათვისებელ) ფოსფორს, რაც შეადგენს 1,83-16,40 მგ-ს 1კგ ნიადაგში, ზოგიერთ შემთხვევებში კი მხოლოდ კვალის სახითაა წარმოდგენილი. საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს გაცვლით კალიუმს, რაც საპლანტაჟო ფენის 1 კგ ნიადაგში 480-650 მგ-ს შეადგენს.

შთანთქმული ფუძეების ჯამი (Ca+Mg) მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება და 100 გ ნიადაგში 41,33-43,84 მილი ექვივალენტის ფარგლებშია. მათგან გაცილებით მეტი პროცენტი მოდის შთანთქმულ კალციუმზე, მაგნიუმი კი გაცილებით მცირეა.

აღნიშნულ ხელსაყრელ კლიმატურ პირობებთან ერთად, მიკროზონის მევენახეობისთვის საუკეთესო ნიადაგების კაკლოვან-მარცვლოვანი სტრუქტურა განაპირობებს ყურძნის შაქრიანობასთან დაბალანსებული სიმჟავის მოსავლის მიღებას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს გემოზე ღვინის სირბილეს, ზომიერ მჟავიანობას და მსუბუქ ციტრუსოვან არომატს, თეთრი ღვინის შემთხვევაში, ხოლო წითელი კენკრის ნაზ არომატს წითელი ღვინის შემთხვევაში.

ადამიანური ფაქტორი - ისევე, როგორც საქართველოს მევენახეობის სხვა ზონებში, მევენახეობა-მეღვინეობა ოკამის მიკროზონაშიც უხსოვარ დროიდანაა და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე განთქმული იყო თავისი ღვინოებით. აქაური მეღვინეები ოდითგანვე წურავდნენ ყურძენს საწნახელში და მიღებულ თვითნადენ ტკბილს ქვევრებში ადუღებდნენ. ისინი საუკუნეების განმავლობაში ხვეწდნენ და სრულყოფდნენ ღვინის დაყენების ადგილობრივ მეთოდებს. ამ მხარეში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ივანე მუხრანბატონს (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი) და თენგიზ კეკელიძეს, რომელმაც 1965 წელს დააარსა ოკამის ღვინის ქარხანა და იყო მისი პირველი დირექტორი. აღსანიშნავია,რომ ქარხანას 1994 წელს მიენიჭა თენგიზ კეკელიძის სახელი და დაიდგა მისი ბიუსტი (ბ.კალანდაძე "სამტრესტი და სამტრესტელები" გვ.26, 108. თბილისი, 2014 წ. https://www.entrepreneur.com/article/325601,http://www.nplg.gov.ge/winemakers/en/00000017/).

ოკამის მიკროზონის მეღვინეობის შემდგომ განვითარებას და ღვინო "ოკამის" დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფასა და ხარისხის გაუმჯობესებას ახალი პერსპექტივები გაუჩინა ოკამის ღვინის ქარხნის გარდაქმნამ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზად, რომლის სამეცნიერო პოტენციალი მიმართულია ამ რეგიონში მეღვინეობის განვითარებისკენ.

ამრიგად, ოკამის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, მისთვის დამახასიათებელი კლიმატი, ნიადაგები, შავკაპიტოს, ჩინურისა და გორული მწვანეს ჯიშების განსაკუთრებული თვისებები, მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო "ოკამის" განუმეორებელ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

10. პროდუქტის ეტიკეტირე-

დასასრული გვ8.

დასრულებული პროექტები

გზები

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება არის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, განსაკუთრებით საგულისხმოა სოფლად მისასვლელი გზების მოწესრიგება.

ამჯერად დასრულდა გარდამავალი პროექტები:

კასპის მუნიციპალიტეტში ნიგოზა, ჩობალაური, ქვემო რენეს და ზემო რენეს ადგილობრივი მნიშვნელობის, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტობანთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია.

კასპის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლების, გამყოფი ხაზისპირას მდებარე სოფელ ბოჟამთან მისასვლელი გზის მოწყობა- მოასფალტება.

ქ. კასპში შარიფაშვილის ქუჩის და მიმდებარე ყაზბეგის, წერეთლის (ნაწილობრივ), გურამიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია-მოასფალტება.

ქ. კასპში ლესელიძის, ჯორჯიაშვილის, სამების, მეტეხის, ქვათახევის ქუჩების რეაბილიტაცია-მოასფალტება.

ქალაქ კასპში ჯავახიშვილის და ცხვედაძის ქუჩების მოწყობა-მოასფალტება.

მოეწყო მშვიდობის ქუჩის ბეტონის გზა.

სოფელ სასირეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზა ამორტიზებული და მოუწესრიგებელი იყო. მუზეუმის მრავალრიცხოვან ვიზიტორს პრობლემური გზა დისკომფორტს უქმნიდა. ამჟამად კი მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით ადგილობრივი მოსახლეობაც სარგებლობს.

ქალაქ კასპში, IV საჯარო სკოლის და მიკრორაიონის დამაკავშირებელი გზის მოწყობა-მოასფალტება დასრულდა. რეაბილიტირებული გზა კომფორტულია გადაადგილებისთვის, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირა მანძილი, როგორც IV საჯარო სკოლამდე, ასევე ცენტრალურ მაგისტრალამდე და ადგილობრივები შემოვლითი გზით აღარ სარგებლობენ.

კასპში მრავალსართულიან და მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი კვარტალური ეზოების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

დასრულდა წინარეხი-ქვათახევის საავტომობილო გზის 5,1 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა და კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აუცილებელი გახდა. იგოეთის საბავშვო ბაღის მიმდებარეა სასოფლო ამბულატორიის შენობა. რეაბილიტირებული გზით ამბულატორიის თანამშრომლები და პაციენტებიც ისარგებლებენ.

მიმდინარე წელს სადგურ მეტეხში ახალი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი აშენდა, რომლის მისასვლელი გზა აუცილებელ რეაბილიტაციას საჭიროებდა. შესაბამისად მოხდა სადგურ მეტეხის დასახლებაში საბავშვო ბაღთან და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

დასრულებული პროექტები

სკოლები

სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა.

სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლაში 159 მოსწავლე სწავლობს, სასწავლო პროცესს კი 22 პედაგოგი ემსახურება. სკოლის ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. 2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლა ზამთარს კომფორტულ პირობებში გაატარებს.

საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურისა და სასწავლო პროცესის პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.



სასმელი წყალი

სოფელ აღაიანში სასმელი წყლის მასშტაბური პროექტი განხორციელდა.

ასევე, სოფელ ბარნაბიანთკარში, სადაც მოეწყო წყალსადენის მაგისტრალი, შიდაქსელი, რკინა-ბეტონის ჭები და სამორიგეო ჯიხური.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურისა და საქადაგიანოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობა.

ქალაქ კასპში, კოსტავას ქუჩაზე, წყალმომარაგება-წყალარინების ამორტიზებული ქსელის, ლესელიძის ქუჩისა და მისი მიმდებარე უბნების წყალმომარაგების რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები.

ბინათამხანაგობები

6 წელია, რაც კასპის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამით მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე 12 სახის რეაბილიტაცია ფინანსდება. აღნიშნული პროგრამით უკვე 5 ამხანაგობამ ისარგებლა.

დასრულებული პროექტები

სპორტული ინფრასტრუქტურა

სპორტის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით ეწყობა სპორტული ინფრასტრუქტურა

სოფლებში: ქვემო ჭალაში, ზემო ხანდაკსა და მეტეხში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,

გახდით ჩვენი მკითხველი!

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება

დასასრული „ოკამი“

ბის განსაკუთრებული წესები ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებსა და სარეკლამო მასალებში დაიტანება: ქართულად: ოკამი დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისღვინო ლათინური დამწერლობით: OKAMI Protected Designation of Origin ან/და კირილიცით: ОКАМИ Защищённое наименование места происхождения

11. აღრიცხვა და შეტყობინება "ოკამის" წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის 2-78 ბრძანებით დამტკიცებული "მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესი").

12 ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო "ოკამის" წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ - ღვინის ეროვნულსააგენტოს უნდა დაუდასტურო ს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

13. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ -ღვინის ეროვნული სააგენტო.

14. მიკროზონის რუკა

გილოცავთ!

საქართველოს ჰელსინკელთა მეცნიერთა თავისუფალი პროფესიონალთა ასოციაციის ლოდინი ულოცავს ორგანიზაციას უოფილ თავმჯდომარეს გიული სოხიაშვილს.

ქალბატონო გიული, გისურვებთ ჯანმრთელობას, ყოველდღიურ ლოგიკურ ძალისხმევას სიყვარულ ოჯახთან ერთად!

,,ახალი განთიადი,, იძიებს ცალიერებლო ყურადღებას რაიონის ცხოვრებით ფოტო-მასალის შეგროვებას. მოგვმართავთ თხოვნით - - ოფლოვეთ თქვენი ყველა მასალები! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლო ფოტოები!

"ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "კეხურა" და გახდით რუბრიკის სტუმარი.

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფიფქები, ნახატები, აზტები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ხსოვნა

ივანე კობაური

წუთისოფლის სიმუხთლემ კიდევ ერთხელ გაგვაცა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა შენი წასვლა, ძვირფასო ძმაო... ერთ წელიწადში ოჯახს ორი ვაჟკაცი გამოგვეცალა...

სიკეთის, სიმშვიდის, ოჯახზე ზრუნვის ეტალონო, 5 ნოემბერს შენი 64 წლის თარიღს ველოდით, შენ კი დისშვილი მალხაზის და ძმისშვილი დარინას დაბადების დღეებზე (22–23 ივლისი) გამოგვეცალე!

იჩქარა, რუსეთის შორეული ქალაქიდან ჩამოგვივდა შვილი გიორგი – ბოლო რვა კილომეტრიც უღელტეხილზე ფეხით გამოიარა, მაგრამ ვეღარ ჩამოგისწრო ცოცხალს...

ძმურად, გულქართულად გაიზიარა დაობლებული უფროსი და-ძმის, ნინოს და სოსოს მწუხარება. იმედად მოევლინა მამის ასლი...

სიწყნარე მამა-პაპით, უწყინარი მშობლების გენებით, მათი ტკბილი ურთიერთობით შეითვისე და შვილებისათვის ფასდაუდებელი მამა იყავი...

სიკეთით სავსეს რატომ სიბერის წლებითაც ვერ აგევსო სიცოცხლის ზარდახშა?!

როგორი ბედნიერი იყავი ძალიან კარგი სიძით და რძლით, როგორ გითბობდნენ ცხოვრებას შვილიშვილები: ანა, ვანიკო, ნატალი და ელენე.

ქვეყნად რამდენი ქალი დაქვრივებულა, მაგრამ მზია? ისე იყო გალაღებული შენი სითბოსიყვარულით, ზრუნვით, გლოვით ხმა დაკარგა, სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქცია შენი წასვლით დარჩენილმა სიცოცხლემ. სასაფლაოდან პირდაპირ უშენო ჭერქვეშ დაბრუნდა მწუხარებით დაზაფრული სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ბეწვის ხიდზე გაიარა 26 ივლისს.

სამზეოდან ღირსეულად გაგაცილეს ოჯახის წევრებმა, დიდმა სანათესაომ და სამეზობლო-სამეგობრომ.

30 აგვისტოს 40 დღე შეგისრულდება...

მართალთა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა!

ნათელი და სანთელი კი არ მოგაკლდეთ, ძმებო! გოჩა და ვანო!

და ეთერ კობაური-მახარაძე.

გამოიწერეთ გაზეთი „ახალი განთიადი„!

შეუცნობელის კვალდაკვალ

აუხსნელი, უცნაური, მოულოდნელი

გამოგვეხმაურეთ, დაგვიკავშირდით!

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი.“

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ექსპერტებს, თქვენ კი გაგაცნოთ მათი შეფასებები თუ კომენტარები. თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76